ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი მოქალაქის გზამკვლევი

2023 წლის 08 დეკემბერი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოკლე აღწერა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იმერეთის მხარეში. დასახლებული იყო ქვის ხანიდან. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ზედა პალეოლითის ხანის ადამიანის მღვიმე-ნამოსახლარი - დევისხვრელი; ბრიჯაოს ხანის საგვარეულო და საოჯახო სამარხები, სადაც აღმოჩენილი განძი ინახება სანკტ-პეტერბურგისა და ერმიტაჟის მუზეუმებში. ფეოდალურ ხანაში მუნიციპალიტეტის ტერიტორია სტრატეგიული მნიშვნელობის იყო, რადგან მასზე გადიოდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზები. 1917 წლამდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია შედიოდა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრაში. 1921 წლიდან ქუთაისის მაზრაში შედიოდა, 1928-1929 წლებში - ქუთაისის ოლქში, 1930 წლიდან კი დამოუკიდებელი რაიონის სახით განაგრძო არსებობა. 1932-1989 წლებში მას ორჯონიკიძის რაიონი ეწოდებოდა. ხოლო 1990 წლიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტი.

მდებარეობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი არის ერთ-ერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული იმერეთის მხარეში. იგი მდებარეობს საქართველოს გეოგრაფიულ ცენტრში, იმერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტის ფართობია 91,3 (ათასი)ჰა. მთლიანი ტერიტორიის 180 კვ.კმ უჭირავს დაბლობს, ხოლო 733, 9 კვ.კმ. – მთიან ადგილებს. მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილია მთა სამეცხვარიო 2642 მეტრი. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ხაშურისა და საჩხერის, დასავლეთით ზესტაფონისა და ბაღდათის, ჩრდილოეთით ჭიათურისადა საჩხერის, სამხრეთით ბორჯომისა და ბაღდათის რაიონები.

ფართობი და გზების სიგრძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ფართობის მიხედვით იმერეთის მუნიციპალიტეტებს შორის პირველი ადგილი უჭირავს და შეადგენს 913,9კვმ-ს, რაც ქვეყნის საერთო ტერიტორიის (69 700 კმ2) 1,3 %-ია. ხოლო იმერეთის რეგიონის ტერიტორიის 14 % -ს შეადგენს. მთლიანი ტერიტორიის 180 კვ.კმ უჭირავს დაბლობს, ხოლო 733, 9 კვ.კმ. – მთიან ადგილებს.

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა საუბნო გზების სიგრძე შეადგენს 565 კმ-ს. ასფალტო/ბეტონით გზების საერთო სიგრძე შეადგენს 200 კმ-ს, არამყარი საფარით გრუნტოვანი გზის საერთო სიგრძე კი შეადგენს 365 კმ-ს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი		
მუნიციპალიტეტის ცენტრი	**დაბა ხარაგაული**	
თემის რაოდენობა	20	
სოფლის რაოდენობა	78	
ფართობი	914 კმ2	
პროცენტული წილი ქვეყნის ფართობთან	69 700 კმ2	1.3%
პროცენტული წილი რეგიონის ფართობთან	6 516 კმ2	14%
გზების სიგრძე	565	
მოსახლეობის რაოდენობა	18 200	
პროცენტული წილი ქვეყნის მოსახლეობაში	3 713 804	0.5%
პროცენტული წილი რეგიონის მოსახლეობაში	533 906	3.4%
მ.შ. დაბაში	1 802	9.9%
მ.შ სოფელში	16 398	90.1%
მ.შ. ქალი	9173	50.4%
მ.შ. კაცი	9027	49.6%
მ.შ. 0-5 წლამდე ასაკის		
მ.შ. სკოლის ასაკის		
მ.შ. ასაკით პენსიონერი	4 768	
მ.შ. პენსიის სხვა მიმღები		
მ.შ. სოციალურად დაუცველი	1 077	
მოსახლეობის სიმჭიდროვე	19,9	
ბიუჯეტის მოცულობა	14 180 000	

გეოგრაფია

მუნიციპალიტეტის ტერიტორია მთაგორიანია**.** მდიდარია მდინარეებით და ჰიდრო რესურსებით, ყველაზე გრძელი მდინარეა ძირულა,. მდინარეებში ბინადრობენ კალმახები.

მუნიციპალიტეტის უპირველეს სიმდიდრეს წარმოადგენს ტყე, რომელსაც მისი ტერიტორიის 2/3 დაახლოებით 650 კვ.კმ. უჭირავს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ნაწილი.

მუნიციპალიტეტში მოიპოვება შემდეგი ბუნებრივი რესურსები: მარმარილო, თეთრი მარმარილო, თიხა, მოსაპირკეთებელი მასალა, სამშენებლო ქვები, კვარცის მიწა, აზბესტი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორი ადგილობრივი მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტია: ნუნისი და ზვარე.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც შედგება 33 წევრისგან. მათგან 13 არჩეულია პროპორციული, ხოლო 20 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისია; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი, რომელიც აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპლიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურები), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირებისა ა(ა)იპ-ების მეშვეობით.



ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მოიცავს 20 ტერიტორიულ ერთეულს: დაბა ხარაგაული, ბაზალეთი, ბორითი, ვახანი, ზვარე, კიცხი, ლაშე, ლეღვანი, მოლითი, ნადაბური, სარგვეში, საღანძილე, ფარცხნალი, წიფა, წყალაფორეთი, ხევი, ხუნევი, ვარძია, ღორეშა, ხიდარი. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 79 სოფელი აქედან რვა სოფელი - გოლისი, ზვარე, ჩრდილი, ნუნისი, წიფა, გოლათუბანი, გუდათუბანი, ფონა და პატრა სახვლარი მაღალმთიანი სტატუსის მატარებელი სოფლები არიან.

მოსახლეობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2018 წლის აღწერის მდგომარეობით შეადგენს 19.5 ათას ადამიანს. მოსახლეობის რიცხოვნება 2008 წელთან შედარებით დაახლოებით 30 % -ით არის შემცირებული, მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის ხარაგაულის მუნიციპალიტეტი 50 -ე ადგილზეა.



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,51 %-ს, ხოლო, იმერეთის რეგიონის 3,9 %-ს შეადგენს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახელება	**მოსახლეობა**	**ფართობი (კვ. კმ)**
სულ საქართველო	3,787,000	69700
იმერეთის რეგიონი	497,4	6415
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	19,319	913
პროცენტი საქართველოსთან	0,51%	1,3%
პროცენტი რეგიონთან	3,9 %	14,2 %

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 14% დასაქმებულია საჯარო სტრუქტურებში, განათლების სექტორში, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სექტორებში. მოსახლეობის დანარჩენი 86%-ი თვითდასაქმებულია სოფლის მეურნეობის სექტორში, ან უმუშევარია.

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია: მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პრიორიტეტების დოკუმენტი - არის მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი გეგმა რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პრიორიტეტებისა და პროგრამების შესახებ ინფომაციას.

რა არის ბიუჯეტი?

ტერმინი „ბიუჯეტი“ („Budget”) ინგლისური სიტყვაა და ტომარას ნიშნავს. ანუ შეიძლება ვთქვათ, რომ ბიუჯეტი არის მთავრობის ტომარა, რომელიც ივსება და იხარჯება ყოველდღიურად.

დღეს საქართველოში ბიუჯეტი წარმოდგენს შესაბამისი დონის ხელისუფლების ორგანოების

მიერ საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღებ და გასაცემ ფულადი სახსრების ერთობლიობას, მათი შეგროვებისა და გადახდის გეგმას. ამ სახით პროგნოზი კეთდება მომდევნო 4 წელზე, ხოლო მმართველობის შესაბამისი ორგანობის მიერ ბიუჯეტი მტკიცდება და აღსრულებას ექვემდებარება მომდევნო 1 წლისათვის.

მოქმედი კანონმდებლობითა და საბიუჯეტო მოწყობის მიხედვით საქართველოში არსებობს ბიუჯეტის სამი დონე: საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტები. ბიუჯეტები მტკიცდება შესაბამისი დონის ხელისუფლებების მიერ.

აუცილებელია ვიცოდეთ, რომ ყველა დონის ბიუჯეტის შევსების წყარო არის მოსახლეობა, ანუ ჩვენ მიერ გადახდილი გადასახდებით ივსება ბიუჯეტი.

საბიუჯეტო პროცესი

საქართველოში საბიუჯეტო პროცესის ძირითადი ეტაპები დარეგულირებულია საბიუეტო კოდექსით, ხოლო შიდა საბიუჯეტო კალენდარს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში წარმოდგენილია საბიუჯეტო ციკლის ეტაპები:



მუნიციპალური ორგანოების როლი საბიუჯეტო პროცესში გამიჯნულია კანონმდებლობით. ეს კანონებია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი და საბიუჯეტო კოდექსი.



საიდან მოდის ფული ბიუჯეტში?

კანონმდებლობა არეგულირებს იმ გადასახდელების ჩამონათვალს რომლითაც ივსება ბიუჯეტი. გადასახადებს ბიუჯეტში იხდიან მოქალაქეები და ბიზნესი. ეს გადახდილი თანხები საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად ნაწილდება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ირიცხება შემდეგი სახის შემოსავლები: დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) , ქონების გადასახადი (გარდა მიწისა), მიწის

გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი, დასუფთავების მოსაკრებელი, იჯარით გაცემული ქონებიდან შემოსული თანხები, სხვა ადგილობრივი მოსაკრებლები და გადასახდელები, ასევე ქონების გაყიდვიდან შემოსული სახსრები. ცენტრალური ხელისუფლება კაპიტალური პროექტებისთვის და დელეგირებული უფლებების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტს უნაწილებს გარკვეულ თანხებს, რასაც ეწოდება გრანტები. ასეთი გრანტები მუნიციპალიტეტში ძირითადად წლის განმავლობაში ირიცხება და შესაბამისად მუნიციპალიტეტი აზუსტებს თავდაპირველ ბიუჯეტს. როდესაც ხარჯები შემოსავალზე მეტია, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს აიღოს სესხი. ამ კუთხით მუნიციპალიტეტს ძირითადად საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეხმარება.

ზემოთ აღნიშნული თანხების ბიუჯეტში მობილიზებაზე პასუხისმგებელია როგორც ცენტრალური ხელისუფლება ასევე ადგილობრივი - მუნიციპალიტეტის ხელისუფლება. კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლება (შემოსავლების სამსახური) უწევს ადმინისტრირებას შემდეგი სახის შემოსავლებს: დამატებული ღირებულების გადასახადიდან (დღგ) , ქონების გადასახადი (გარდა მიწისა), მიწის გადასახადი, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი. ადგილობრივი ხელისუფლება - დასუფთავების მოსაკრებელს, იჯარით გაცემული ქონებიდან მისარებ თანხებს და სხვა ადგილობრივი მოსაკრებლებს და გადასახდელებს, ასევე ეს უკანასკნელი პასუხისმგებელია მუნიციპალური ქონების პრივატიზებისას თანხების მობილიზებაზე.

ცენტრალურ ხელისუფლება პასუხისმგებელია ასევე მუნიციპალიტეტისთვის გრანტის სახით თანხების გამოყოფაზე. ასეთი თანხები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და ძირითადად ხმარდება კაპიტალური პროექტების დაფინანსებას, სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლის შემოსავლები

2022 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მთლიანობაში მობილიზებული 23 584,2 ათასი ლარი. მთლიან შემოსავლებში თითოეული შემოსავლის ხვედრითი წილი შემდეგია:

2022 წლის ხარაგაულის მუნიცპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურა		**(ათას ლარებში)**
შემოსავლის დასახელება	**2022 წელი**	
	თანხა	**პროცენტი**
ქონების გადასახადი	2491,9	10,6%
დღგ	7646,6	32,4%
გრანტები	12515,1	53,0%
სხვა დანარჩენი შემოსავლები	920,0	3,9%
არაფინანსური აქტივების კლება	10,4	0.1%
სულ შემოსულობა	**23 584,2**	**100.0%**



2023 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მთლიანობაში მობილიზებული იქნა 21 708,6 ათასი ლარი. მთლიან შემოსავლებში თითოეული შემოსავლის ხვედრითი წილი შემდეგია:

2023 წლის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურა (ათას ლარებში)		
შემოსავლის დასახელება	**2023 წელი**	
	თანხა	**პროცენტი**
ქონების გადასახადი	1600,0	7,1%
დღგ	8618,4	38,3%
გრანტები	10883,4	48,5%
სხვა დანარჩენი შემოსავლები	1294,0	5,7%
არაფინანსური აქტივების კლება	50,0	0,4%
სულ შემოსულობა	**22445,8**	**100.0%**



2024 წლისთვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მთლიანი შემოსავლები განისაზღვრა 13 433 700 ლარი. მთლიან შემოსავლებში თითოეული შემოსავლის ხვედრითი წილი შემდეგია:

2024 წლის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურა		**(ათას ლარებში)**
შემოსავლის დასახელება	**2024 წელი**	
	თანხა	**პროცენტი**
ქონების გადასახადი	1900,0	13,7%
დღგ	9358,6	67,3%
გრანტები	178,4	1,3%
სხვა დანარჩენი შემოსავლები	1796,7	16,3%
არაფინანსური აქტივების კლება	200,0	1,4%
სულ შემოსულობა	**13433.7**	**100.0%**



2023-2024 წლებში მუნიციპალიტეტის მთლიანი შემოსავლების დინამიკა შემდეგია:



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობების განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მაჩვენებლები არ მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ გრანტებს. მათ შორისაა, რეგიონების განვითარების ფონდიდან გამოსაყოფი ტრანსფერები ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის და სკოლების რემონტისათვის განკუთვნილი მიზნობრივი ტრანსფერები. როგორც ზემოთ

ავღნიშნეთ ეს თანხები გამოიყოფა წლის განმავლობაში და ამ ტრანსფერების გამოყოფის შემდგომ 2024 წლის მაჩვენებელი დაახლოებით გაუტოლდება გასული წლის მაჩვენებელს.

როგორ იხარჯება ფული?

მთავრობის მიერ შეგროვებული თანხა იხარჯება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჭიროებისამებრ. ეს თანხა პირობითად იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებად. მიმდინარე ხარჯები მოიცავს საჯარო მოხელეების ხელფასებს, კომუნალურ გადასახდებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისა და მოვლა შენახვის ხარჯებს და სხვა. ხოლო კაპიტალური ხარჯები გზების, ხიდების, საბავშვო ბაღების და სხვა მუნიციპალური ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და შეკეთების ხარჯებს. ასევე ბიუჯეტში განსაზღვრულია ნაკისრი ვალედბულებების (სესხის) დაფარვის ხარჯები. ხარჯების მიმართულებებს, თუ სად და როგორ უნდა მოხდეს თანხების ხარჯვა ამტკიცებს მუნიციპალიტეტის საკრებულო ხმათა უმრავლესობით. ბიუჯეტის აღსრულება კი ხდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს - მერიის მიერ.

2022-2024 წლის გადასახდელების დინამიკა



	ხარჯები	შრომის ანაზღაურება	საქონელი და მომსახურება	პროცენტ	სუბსიდია	გრანტი	სოციალური	სხვა ხარჯები	არაფინანსური	ვალდებულებების კლება
2022	12470.2	2555.6	2725.0	25.2	5505.9	33.9	1272.1	340.5	12739.4	50.9
2023	15167.4	2899.8	3205.3	28.0	6880.2	42.0	1359.4	752.8	8635.6	52.0
2024	14199.5	3161.1	1572.8	23.0	7574.2	41.3	1288.0	539.1	677.0	52.0

აღნიშნული სახსრები ბიუჯეტის მიხედვით განაწილებულია შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

- ინფრასტრუქტურის განვითარება
- დასუფთავება და გარემოს დაცვა
- განათლება
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- მმართველობა

2024 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

პრიორიტეტების დასახელება	თანხა	პროცენტი
ინფრასტუქტურა	1092.2	7%
დასუფთავება და გარემოს დაცვა	1859.9	13%
განათლება	2814.1	19%
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	2220.4	15%
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1971.1	13%
მმართველობა	4970.8	33%
სულ ჯამი	**14 928.5**	**100.00%**



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2022- 2024 წლების მიხედვით



ინფრასტრუქტურის განვითარება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 7 % გამოყოფილია ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1 092,2 ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხები მთლიანად წარმოადგენს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარ შემოსულობებს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტუტული პროექტებისათვის გამოსაყოფ კაპიტალურ ტრანსფერს. 2022-2024 წლებში ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



2024 წლის ბიუჯეტის პროექტით, ინფრასტუქტურის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

(ათას ლარებში)

02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება პრიორიტეტის პროგრამები**	**1 092,2**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	553,3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	135,0
02 03	გარე განათება	298,9
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	30,0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	60,0
02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	15,0

დასუფთავება და გარემოს დაცვა

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 13,0 % გამოყოფილია მუნიციპალიტეტის დასუფთავებისთვის, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 1859,9 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

(ათას ლარებში)

03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**1 859,9**
03 01	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	1 600,0
03 03	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	241,9
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	18,0

განათლება

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 19.0 % გამოყოფილია განათლების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 2 814,1 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



(ათას ლარებში)

04 00	**განათლება**	**2 814,1**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2450,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	3,0
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	4,0
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	129,1
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	228,0

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 15.0 % გამოყოფილია კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 2 220,4 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

(ათას ლარებში)

05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**2 220,4**
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	725,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1338,4
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	97,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	10,0

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 13,0% გამოყოფილია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ 1 971,1 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1 971,1**
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	260,4
06 02	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	5,0
06 03	სოციალური დაცვა	1705,7
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება	450,0
06 03 03	შშმ პირთა დახმარება	85,0
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	380,0
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	30,0
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	35,0
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარება	15,0
06 03 08	მარჩენალდაკარგულ და რეინტეგრირებულ პირთა დახმარება	35,0
06 03 09	ყოველთვიური დახმარება	60,0
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება	8,0
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარება	4,0

06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	60,0
06 03 13	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	20,0
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარება	20,0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარება	25,0
06 03 16	გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა	1.0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება, უსახლკაროთა და ძალადობის მსხვერპლთა ბინის ქირით უზრუნველყოფა	100.0
06 03 18	უფასო სასადილო	250.0
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროექტების ხელშეწყობა	57,7
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	10.0
06 03 21	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება	20.0
06 03 22	არასრულწლოვანთა დახმარება	40.0

მმართველობა და საერთო დანიშნულება

2024 წლის ბიუჯეტის ასიგნებების 33,0% გამოყოფილია მმართველობა და საერთო დანიშნულების პრიორიტეტის დაფინანსებაზე, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 4 970.8 ათას ლარს შეადგენს. 2022-2024 წლებში პრიორიტეტის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა ასეთია:



მმართველობა და საერთო დანიშნულების პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:

01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**4 970.8**
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	**1106.9**
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	**3590.9**
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	**0**
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასთან და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	**15.0**
01 02 01	სარეზერვო ფონდი	**80.0**
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	**100.0**
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	**75.0**
01 02 04	გენდერული თანასწორობის საბჭო	**3,0**

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები მოიცავს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის დაფიანსებას. მათ შორის საკრებულოსა და მერიაში დასაქმებულია 200 მუშაკი, მათ შორის საკრებულოში 30 მუშაკი ხოლო მერიაში 170 .

რას ნიშნავს ჩემთვის 2024წლის ბიუჯეტი?

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას, ახალი გზების, ხიდებისა და ხიდ-ბოგირების, ნაპირსამაგრების მშენებლობას. პროგრამის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი, ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი სახსრები უმეტესწილად ხმარდება გზების მიმდინარე შეკეთებას, საპროექტო და საექსპერტო-მონიტორინგის ხარჯების ანაზღაურებას. მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალური გზების 67% სრულად რეაბილიტირებულია, დარჩენილ ნაწილზე მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო ნაწილზე იგეგმება შესაბამისი სამუშაობის ჩატარება. სარეაბილიტაციო გზების შერჩევა ხორციელდება მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მხედველობაში მიიღება სტიქიური მოვლენების შედეგების აღმოფხვრა და სხვა წინასწარ გაუთვალისწინებელი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ოთხი ქვეპროგრამა: გზების

კაპიტალურ შეკეთება, გზების მიმდინარე შეკეთება, რომელიც თავის თავში მოიცავს გზების მოვლა-შენახვას, ხიდების, ბოგირების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა. გზების კაპიტალური შეკეთების ფარგლებში ხორციელდება

მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. სამუშაოების მოცულობა დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ კაპიტალურ ტრანსფერზე. ბოლო წლების განმავლობაში, საშუალოდ წლის განმავლობაში, კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება 35 გრძ/მ გზას (მათ შორის ახალი გზებია 33000 გრძ/მ), გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმინილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით, ამასთან დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროცესში ყურადღება ექცევა მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებს, რათა მათთვის თანაბარხელმისაწვდომი გარემოს შეიქმნას.



სასმელი წყალით უზრუნველყოფა

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, საკანალიზაციო სისტემების გამართულ ფინქციონირებასა და ახალი საკანალიზაციო სისტემების მოწყობას, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შედგება ორი ქვეპროგრამისაგან: სასმელი წყლით უზრუნველყოფა; საკანალიზაციო სისტემის განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა) პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახრებით. აღნიშნული პროგრამით სოფლებში ეწყობა ჭაბურღილები.

გარე განათება

298 900 ლარი

პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, სკვერების განათებას, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და ექსპლოატაციას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია–განვითარება, არსებული ნათურების ეკონომიური ნათურებით ჩანაცვლება, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, განათების ახალი წერტილების მოწყობა.. ღამის განათების ქსელებით უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის დასახლებული ერთეულების ცენტრალური უბნები და დაბის ქუჩების, მოედნების და ღია სივრცეების 90%.

კეთილმოწყობა

60 000 ლარი

განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, მათ შორის სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა. საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა.

2024 წელს გაგრძელდება სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

1 859 900 ლარი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და განთავსება ნაგავსაყრელზე. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ერთწლიანი ყვავილებისა , სხვადასხვა მრავალწლიანი ნარგავების დარგვის ღონისძიებები და მოსახლეობის დაცვის მიზნით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უპატრონოდ დარჩენილი ცხოველების თავშესაფარში გადაყვანა. შემდომში სამედიცინო სამუშაოების (სტერილიზაცია, კასტრაცია, პარაზიტებზე დამუშავება,იდენტიფიცირება (ყურის კლიპის მეშვეობით ცოფზე აცრა) ჩატარებისა და მის ბუნებრივ არიალში დაბრუნებას.

განათლება

2 814 100 ლარი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 21 საბავშო ბაღი, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ააიპ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ე.კიკნაძის სახ. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება". სულ სკოლამადელ დაწესებულებებში დასაქმებულია 272 თანამშრომელი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება და სხვა.

ასევე განათლების პროგრამიდან განხორციელდება სსიპ ბორის სკოლა პანსიონის და ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის“ დაფინანსება. სსიპ ბორის სკოლაში (პანსიონი) დღეის მდგომარეობით 142 მოსწავლეა აქედან 12 მოსწავლე ათევს ღამეს, მათ შორის არის უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და მზრუნველობა მოკლებული მოსწავლეები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ და მასთან არსებული მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“. პროგრამა გულისხმობს მოზარდთა შემეცნებით საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას.

კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი

2 220 400 ლარი

სპორტული სფეროს განვითარება

ააიპ " სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი" - აერთიანებს 12 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (95 ბავშვი); კალათბურთი (95ბავშვი); მაგიდის ჩოგბურთი (14ბავშვი); ჭადრაკი და შაში (14ბავშვი); ძიუ-დო (70 ბავშვი); თვისუფალი ჭიდაობა (18ბავშვი); ქართული ჭიდაობა (20 ბავშვი); ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (18 ბავშვი); სამბო (18 ბავშვი); კარატე ტაიკვანდო (48ბავშვი); სპორტული კარატე (22ბავშვი); მკლავჭიდი (18ბავშვი). სულ 27 ჯგუფია, ჯგუფები გახსნილია ბორითში, ხევში, კიცხში, ბორში, ვერტყვიჭალაში, ნადაბურში, ღორეშაში, ვახანში, მოლითში.სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 450 მოსწავლე.

ასევე სპორტის სფეროს განვითარება მიცავს სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას და სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვას

კულტურის სფეროს განვითარება

პროგრამით ხორციელდება ორი ქვეპროგრამა: კულტურის სფეროს დაწესებულებათა ხელშეწყობა, კულტურის ღონისძიების ხელშეწყობა და კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია,მშენებლობა. კულტურის სფეროს დაწესებულებათა ხელშწყობა თავის მხრივ ახორციელებს სამ ქვეპროგრამას: სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა; კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა; ფოლკლორის ხელშეწყობა.

მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობა

პროგრამის საშუალებით ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა. ასევე მათი ინფორმირება მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისა და სხვადახვა ღონისძიებების შესახებ. გარდა ამისა, ცხელი ხაზის მეშვეობით ადგილობრივებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღება ბევრად ნაკლები დროისა და ენერგიის ხარჯზე. გაზეთ ,,ახალ ხარაგაულში“ ინფორმაციებისა და მასალების განთავსება, ასევე მუნიციპალიტეტის ნორმატიული სამართლებრივი აქტების გამოქვეყნება.

პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება და ახალგაზრდობის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსება.

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

განხორციელდება: ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა, პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი), იმუნიზაცია (სპეციფიური შრატებით და ვაქცინებით მძიმე სტრატეგიული მარაგების გამოყენება), ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა;

სოციალური დახმარების პროგრამა

- სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა
- შშმ პირთა დახმარების პროგრამა
- ერთჯერადი ფინანსური დახმარება
- ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფების დახმარება
- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება
- მარტოხელა მშობლების დახმარება
- მარჩენალდაკარგულთა დახმარება
- ყოველთვიური დახმარება
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა დახმარება
- ხანდაზმულთა დახმარება
- სადღესასწაულო დღეების დახმარება
- სოციალურად დაუცველი და უპატრონო მიცვალებულების სარიტუალო მომსახურება
- უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის სათბობი მასალით დახმარების პროგრამა
- ახალთობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა
- გარდაცვლილი დევნილის ან ვეტერანის დაკრძალვა
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება
- უფასო სასადილო
- სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და საგრანტო პროგრამის ხელშეწყობა
- გადაუდებელი რეაგირების პროგრამა
- ომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარება
- არასრულწლოვანთა დახმარება

სად შემიძლია გავარკვიო მეტი?

ამ სახელმძღვანელოში მოცემულია ბიუჯეტში აღწერილი ხარჯებისა და დაბეგვრის შესახებ მოკლე მიმოხილვა. თუ გსურთ გაიგოთ უფრო მეტი და დაწვრილებით, მაშინ ეწვიეთ ვებ – გვერდს https://kharagaulinews.gov.ge/


kharagaulinews.gov.ge
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი
MUNICIPALITY OF KHARAGAULI
ხარაგაულის საკრებულო მოქალაქეს წოდებას 6 ადამიანს მიენიჭა
 სრულად
საზოგადოება
კოლიტიკა
კულტურა
ბანდაცვა და სოციალური
სოფლის მეურნეობა
Type here to search